PROBLEMATICS OF GIORGI SOSIASHVILI'S "The Piest's Wite"

გიორგი სოსიაშვილის „მღვდლის ცოლის“ პრობლემატიკა

Vakhtang Inauri
Doctor of Philology,
Associate Professor of Samtskhe-Javakheti state University,
Akhaltsikhe, Rustaveli St. #113, 0800 Georgia,
+995551550464, vaxtanginauri@gmail.com,
ORCID: 0000 0001 8069 1400

Abstract: Giorgi Sosiashvili's story "The Priest's Wife" depicts the life of a contemporary clergyman, his personal, family and worship problems. Father Antimozi is an important and distinguished artistic figure as in the old hagiographic and prose of the 19th century, as in the writing of the 20th and 21st centuries. The artistic time of action and activity is the present, defined by our era, and the space is the church and the family. These two main problems are facing him. It is difficult to violate the church rule and the priest's duties. He is an orthodox holy priest with his soul to flesh, but it is not easy to bind his love to his beautiful wife Teo. Father Antimozi hardly copes with this tense psychological and difficult spiritual situation. The author introduces Tezia into the story, the character of an unknown soul sheltered by the priest, who criticizes priest's strict religiousness and accuses him because of his carelessness to Teo. Which makes Antimozi jealous and makes his already dramatic situation worse. He makes a rational decision, choosing the golden mean between his wife and the church. He decides to finish the liturgy in time and pay proper attention to his wife. With this perspective, the priest returns home, which is an indication that he will observe moderation in worship and take care of his family properly. He returns home before his wife goes to sleep and family relations will settle into traditional norms and worldly happiness will settle under their roof.

Keywords: Antimozi, church, Tezia, Teo.

ვახტანგ ინაური
ფილოლოგიის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113,0800 საქართველო,
+995551550464, vaxtanginauri@gmail.com,
ORCID: 0000 0001 809 1400

აბსტრაქტი. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობაში „მღვდლის ცოლი“ ასახულია თნამედროვე სასულიერო პირის ცხოვრება, მისი პირადული, ოჯახური და ღვთისმსახურების პრობლემები. მამა ანთიმოზი მნიშვნელოვანი და გამორჩეული მხატვრული სახეა როგორც ძველი აგიოგრაფიული და XIX საუკუნის პროზაში, ისე XX და XXI საუკუნის მწერლობაში.

მამაოს მოქმედებისა და საქმიანობის მხატვრული დრო აწმყოა, ჩვენი ეპოქით განისაზღვრება, ხოლო სივრცე ეკლესია და ოჯახი. ეს ორი მთავარი პრობლემა დგას მის წინაშე. ძნელია დაარღვიოს საეკლესიო წესი და მღვდლის მოვალეობები. ის სულით ხორცამდე მართლმადიდებელი წმინდა მორწმუნე მოძღვარია, მაგრამ არც ცოლის ულამაზესი თეოს სულით ხორცამდე სიყვარულის შებოჭვაა იოლი. ამ დაძაბულ ფსიქოლოგიურ და რთულ სულიერ მდგომარეობას ძნელად, მაგრამ მაინც უმკლავდება მამა ანთიმოზი.

ავტორს სიუჟეტში შემოჰყავს თეზია, მამაოს მიერ შეფარებული შეუცნობელი სულის პერსონაჟი, რომელიც უკიჟინებს მამოს მკაცრ ეკლესიურობას და თეოს უყურადღებობაშიც სდებს ბრალს. რაც აეჭვიანებს ანთიმოზს და მის ისედაც დრამატულ მდგომარეობას უფრო ამძაფრებს. ის იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას, ირჩევს ოქროს შუალედს ცოლსა და ეკლესიას შორის. გადაწყვეტს, დროზე დაამთვროს წირვა და ცოლს სათანადო ყურადღება დაუთმოს. ამ პერსპექტივით ბრუნდება მამაო სახლში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ზომიერებას დაიცავს ღვთისმსახურებისას და სათანადო ყურადღებით მიხედავს ოჯახს. ცოლის დაძინებამდე დაბრუნდება სახლში და ოჯახური ურთიერთობა, ტრადიციულ ნორმებში ჩადგება და ამქვეყნიური ბედნიერებაც დაისადგურებს მათ ჭერქვეშ.

საკვანძო სიტყვები: ანთიმოზი, ეკლესია, თეზია, თეო.

შესავალი. „მღვდლის ცოლი“ გიორგი სოხიაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი პრობლემატური, მაღალმხატვრული ნაწარმოებია. იგი იმ ოთხი მოთხრობიდან ერთ-ერთია, რომელმაც გასულ წელს „საბას“ პრემია დამისახურა. ეს არის ახალი მნიშვნელოვანი, აქტუალური თემისა და იდეის სრულიად ორიგინალური, მწერლის ბოლო წლებში მოღვაწეობის შედეგი, რომელიც არ იმეორებს „შუშანიკის წამებიდან“ დღემდე დაწერილი არცერთი ეკლესიური და არაეკლესიური ნაწარმოებათა მხატვრულ პასაჟებს, სახეებსა და ნაარზრევს. პირიქით, ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგიერ საკითხში საპირისპირო ეპიზოდებიც გვხვდება, რაც გ.სოხიაშვილის პროზის თავისთავადობასა და ორიგინალურობაზე მეტყველებს.

„მღვდლის ცოლი“ ახლად დაწერილი მოთხრობაა, ჯერ მის შესახებ არ დაწერილა კრიტიკული წერილი და ანალიზი. ამდენად მეტად მნიშვნელოვანია მისი გამოკვლვა და შესწავლა.

მამა ანთიმოზის შედარება აგიოგრაფიის პერსონაჟებთან ნათლად წარმოაჩენს სხვაობას, როგორც ავტორთა მიზნებსა, მიმართულებასა და სტილს, ისე პერსონაჟთა ცხოვრებასა და მხატვრული წარმოსახვის სპეციფიკას შორის.

გ. სოსიაშვილი რეალისტურად ასახავს სასულიერო პერსონაჟის სახესა და პრაქტიკულ მოღვაწეობას, წვდება მის სულიერ სიღრმეებს, ასახავს მის კაცობრივ ბუნებას. აგიოგრაფიაში რელიგიური ტენდეციურობით აღწერენ ყველა ეპიზოდსა და პასაჟს. ამდენად „მღვდლის ცოლის“ სახით გვაქვს თანამედროვე სასულიერო პირის თანამედროვე მხატვრული ხედვითა და რეალისტურიფორმით ასახული საეკლესიო და ოჯახური ცხოვრება.

მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თეორიული, ემპირიული მეთოდოლოგია, მათ შორის კომპარტივისტული,

შედეგები: 1.შესწავლული და გამოკვლეულია გიორგი სოსიაშვლის მოთთხრობა „მღვდლის ცოლის“თემატიკა და პრობლემატიკა;

2.გაანალიზებულია მღვდლის მხატვრული სახე და მისი პირადი ცხოვრება აგიოგრაფიულ ნაწამოებებთან კონტექსტში;

3.განხილულია პერსონაჟები,მათი ზნეობრივი და რელიგიური შეხედულებები ოჯახურ ცხოვრებასა და ღთისმსახურობაზე;

4.გამოკვლეულია მღვდლის შინაგანი განცდები და ცოლისადმი სიყვარულის გამოხატვის პრობლემა;

5.წარმოჩენილია ოჯახისა და ეკლესიის წინაშე სასულიერო პირის მოვალეობების შესრულების პრობლემა;

6.შეფასებულია თანამედროვე ქრისტიანი მღვდლის ზნეობა, მართლმადიდებლური ტრადიციების სიწმინდე და დრამატიზმი.

დისკუსია. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა ,,მღვდლის ცოლი'', დაბეჭდილია კრებულში ,,ოთხი მოთხრობა'', რომელმაც საბას პრემია დაიმსახურა. მაღარმხატვრული ფრაზეოლოგიზმი, ღრმა ანალიტიკური ნარატივი, იდეის ნოვაცია და მრავალმხრივი პრობლემატიკა ნათლად მიგვანიშნებს მის ეთიკურ და ესთეტიკურ ღირებულებებზე. ეს არის ახალი სიტყვა ქართული აგიოგრაფიიდაან თანამედროვე მოთხრობამდე. აქ სულ სხვა ასპექტში, სხვა ზნეობრივ, რელიგიურ და ადამიანურ ჭრილშია ასახული სასულიერო პირი მამა ანთიმოზი. მღვდლის სახელი უკვე გარკვეულ მხატვრულ ჩანაფიქრსა და მოთხრობის იდეურ მიმართულებაზე მეტყველებს. ანთიმოზი ღრმადმორწმუნე და ეკლესიური ბუნების კაცია, ამგვარად საფიქრებელია, რომ მისი სახელი ანთიმოზ ივერიანუსთან ასოცირდებოდეს და მისი სულიერების ერთგვარი ალუზია იყოს.

ნაწარმოების დასაწყისში თეზიასთან საუბარში უკვე იკვეთება მღვდლის ეკლესიურობა, სასულიერო პირის კანონისტიკური რელიგიური ხედვა. გათავისებული ეკლესიური შეზღუდვები: - „ყველაფერზე ფიქრი არ შეიძლება'', ,,ღმერთზე იფიქრე'' (სოსიაშვილი, 2020: 118) - ეუბნება იგი თეზიას.

ანთიმოზი მღვდლად კურთხევამდე და ქორწინებაზე მზად იყო საეკლესიო მსახურებისთვის, მას კარგად ჰქონდა გააზრებული ცოლქმრული ურთიერთობაც და მარხვის სიწმინდეც. ანუ ცოლთან ეკლესიური ნორმების დაცვა. ცოლის როლი და სურვილი ნებით იცავდეს მღვდლის ცოლითან ურთიერთობის ეკლესიურად დადგენილ წესებს.

ამ საკითხის გადმოსაცემად მწერალი იყენებს პერსონაჟის ცნობიერებასა და ფსიქიკაში წარსულის გაცოცხლების მეთოდს. ამ ფონზე ნათლად ჩანს ანთიმოზის თბილი და სასიყვარულო განწყობა თეოსადმი. ეს ისეთ დროს ახსენდება მამაოს, როდესაც უკვე მღვდლის საეკლესიო სტატუსი აქვს, მსახურობს ეკლესიაში და ლოცვისა და მეტანიების შესრულების შემდეგ მძინარე მეუღლეს დასცქერის. ამ დროს იღვიძებს მასში ეჭვი, ეჭვი იმის გამო რომ, თეო, როგორც მღვდლის ცოლი შეზღუდულია პირად სურვილებსა და ინტიმურ ცხოვრებაში., ახსენდება გავლილი დროის ეპიზოდები: ქორწილი, ჯვრისწერა, შემდგომი პერიოდი და ეჭვი უფრო უღრმავდება, ეს პროცესი სიუჟეტის განვითარების კვანძია. აქედან იწყება მამაოს სულიერ სამყაროში ქაოსი. ეს ეპიზოდი კლასიკური პრინციპის მოქმედების, დროისა და სივრცის ერთიანობის ანალოგიაცაა.რაც დაფიქსირებულია შექსპირის, რასინის, კორნელის, მოლიერის და სხვათა კლასიცისტურ ნაწარმოებებში. ასე ვითარდება ტრაგიზმი მათ შემოქმედებაში,იმ განსხვავებით, რომ ,,მღვდის ცოლში'' სულიერი დრმა გვაქვს, რომელიც სასულიერო პირისთვის ტრაგედიაა და არა მარტო სასულიერო პირისთვის ზოგადად ცოლქმრული პრობლემა რთული

მოსაგვარებელია, როგორც მამაკაცისთვის, ისე ქალისთვის. მღვდლისთვის კი ეს საკითხი ყოველთვის გადაუჭრელია.

ბატონი გიორგის მოთხრობაში მწვავედ განიცადა ანთიმოზმა თეოსთან გაურკვეველი ურთიერთობა. მის პიროვნებაში მძაფრი დაპირისპირებაა ოჯახურ და ეკლესიურ ტრადიციებს შორის. განცდები, მღელვარება,ეჭვიანობა ნერვიულ და ფსიქიკურ ასპექტშია გამოიხატული, რომელთაც თანმიმდევრულად, მხატვრული დამაჯერებლობითა და მეტაფორული ფრაზეოლოგიზმით ასახავს მწერალი.

მამაო სრულ სასოწარკვეთილებამდე მიდის ფაქტების ერთმანეთთან შეჯერების შემდეგ.

ცოლის სიყვარულით დაიწყო მისი ბედნიერება და ახლა ამ სიყვარულით უბედურ და სტრესულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ლამაზ ქალს ყოველთვის ახლავს ეჭვი, ის ყველას ხიბლავს ირგვლივ, ამდენად ქმრისთვის ეჭვის მიზეზი გამუდმებით არსებობს.

მით უმეტეს მღვდელი ქმრისთვის. ამდენად იყო ეს პრობლემა მამაოსთვის ძნელად ასატანი და მოსაგვარებელი. მან ,,იგრძნო, რომ მის გვერდით ცხოვრობდა ქალი, რომელთანაც **ვიღაც უხილავი** ჩამდგარიყო და ურთიერთობას უკრძალავდა (სოსიაშვილი, 2020: 122). ეს ახლა განიცადა, ახლა იგრძნო, როდესაც მძინარე მზეთუნახავ ფოფოდიას'' დასცქეროდა, ახლა აღიქვა როგორი ნაზი და ლამაზი ცოლი ჰყავდა.თითქო მზე თვლემდა მის ნაცვლად ლოგინში''.

ჯვრისწერის პროცესშივე დაიწყო თეოს სილამაზით გამოწვეული რეაქცია, არამარტო რიგით ადამიანებზე, არამედ მოძღვარ ანდრიაზეც კი, რომელიც თვალს ვერ აცილებდა პატარძალს, მალევე გაუჩინარდა მამ ანდრია, საფიქრებელია, რომ ქვეყნიერი ცხვრება, რომელიც თეოს სილამაზეში დაინახა, მისთვის სასურველი გახდა და განერიდა ეკლესიურ ყოფას.

ამ ფაქტით მწერალი თეოს მშვენიერებას უსვამს ხაზს, მშვენიერებას, რომელიც კაცს თავსაც დაავიწყებს და ღმერთსაც. აქვე მინიშნებაა სიყვარულის მნიშვნელლობასა და მის ადგილზე ადამიანის ცხოვრებაში. ,, ქვებშიც იფოთლება ყვავილი''- ეუბნება თეო ჯერ ისევ გიორგის თავის ჯვარდაწერილ ქმარს, - ,,იმიტომ რომ სიყვარულით სუნთქავს, სიყვარულია მთავარი სხვა დანარჩენი''(სოსიაშვილი, 2020: გვ. 125).

შთაგონება პიროვნების ფერიცვალებისა და თავისუფლების შესახებ ანთიმოზმა სიზმარში მოისმინა ანდრიასგან, ,,სიყვარული ღმერთის ამონასუნთქია'' (სოსიაშვილი, 2020:გვ. 128).

ანდრია მსჯელობს ადამიანობის შესახებ, მისი აზრით ვნების გარეშე ადამიანობას ფასი არ აქვს, ,, ცოდვა რომ არ არსებობდეს, არც ღმერთი იარსებებდა და არც ჩვენ, ვისაც ანაფორები გვაცვია'' (სოსიაშვილი, 2020: 128).

ეს არის რეალური ფაქტებიდან მომდინარე მსჯელობა, ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, მატერიალისტურად გააზრებული რელგიის არსი. ამავე დროს ეს დიალოგი ხელს უწყობს სიუჟეტის განვითარების დინამიკას, რომელიც შინაარსის თხრობაში სათანადო ადგილზეა შეტანილი.

ეს ექსპოზიციაა, რომლის შემდეგ უნდა წარმოჩნდეს პერსონაჟის სულიერი და გონებრივი ცვლილებები. ამ სახეცლილებას სიზმრის ფუნქციაზე მსჯელობაც მოასწავლებს. ,, უთქმელ აღსარებასავით არის სიზმარი- ფიქრობდა ანთიმოზი'', როდესაც ხედავდა ძილში როგორ იღიმებოდა თეო. მას უნდოდა ცოლის სიზმარში შეღწევა, უნდოდა გაეგო ,,რით სუნთქავდა, რა აბედნიერებდა ღრუბლებიდან გამოკროლილი მთვარესავით გასაოცარი სილამაზის ქალის'' (სოსიაშვილი, 2020: 129). ამ დიდებულ მხატვრულ შედარებას უფრო მეტ სიტყვაკაზმულობას ჰმატებს მეტაფორა, რომელიც ქალის სილამაზისა და ეკლესიური ყოფის დაპირისპირებას გამოხატავს. ,,საკმევლის სუნი ქალის სუნს ებრძოდა''.

მოთხრობაში დგება საკითხი, რომელსაც ანთიმოზი უსვამს თავის თავს: რატომ გახდა მღვდელი, რა მიზანი ჰქონდა, რას ეძებდა და რა მიიღო?

ტაძარმა, ანაფორამ, განსხვავებულმა იერმა განსხვავებულ არსებად აქცია, მასაც როგორც ყველა ადამიანს სწყუროდა ყველაფერი, მაგრამ ამ სხვაობამ იგი ჩაკეტა საეკლესიო კანონებში. ადამიანებს ერთგვარი შიშიც კი გაუჩინა. მრევლს მღვდლის რისხვა უფლის წყრომად მიაჩნდა.

მამაოსთან თეოს თანაცხოვრება გულისხმობდა არამარტო მის ეკლესიურობის ატანას, არამედ სახლში მისი ქცევის, მისი გარეგნობის, ჩაცმულობის, წვერის შეგუებას. მართლმადიდებელი სასულიერო პირი, ხომ ეკლესიაში და ეკლესიის გარეთაც, სახლში,ქუჩაში,ყველგან ანაფორით და წვერით არის, ეს მისი მართლმადიდებლური მოვალეობაა. პრობლემა ის არის, რამდენად ეყოფა ნებისყოფა ცოლს ცხოვრების ბოლომდე გაუძლოს ასეთ პირობებში ასეთ ქმართან ყოფნას. სწორედ ეს ხდება ანთიმოზის ამაფორიაქებელი ეჭვის მიზეზი. ის გრძნობდა,რომ ცოლის მოფერება ქმრის უპირველესი მოვალეობაა, ის კი ამას ვერ ასრულებს,რა თქმა უნდა, სურვილი აქვს, მაგრამ ანაფორა ამის ნებას არ აძლევს. თეოს სილამაზე კი ყველას ხიბლავს, განსაკუთრებულად ლამაზ ქალს ხატავს ბატონი გიორგი თეოს სახით, მის სინაზეს,მის ჰაეროვნებას, სითბოსა და სურნელს მაღალმხატვრულად ასახავს, მისი სუნთქვაც კი ნეტარებაა ანთიმოზისთვის, მაგრამ ამაოდ, ფიზიკურად მოფერება არ შეუძლია .მას ბედისწერასავით თან სდევს თეზიას ხმა, ყოველ არაკანონიკურ ფიქრზე მისი სიტყვები ჩაესმის. ცხადია, ეს მხატვრული მეთოდია, პერსონაჟის მეორე „მე“{,რომელიც მასში სახლობს,მუდმივად აკონტროლებს მას, ამიტომ ანთიმოზის სურვილს და მისი ასრულების პროცესს გადაულახავ ბარიერად უდგას ეკლესიური წესები.სხვა მხრივ, მამა ანთიმოზი სრულყოფილი მამაკაცია, ვნებაც ეძალება და თეოსთან კონტაქტიც მთელი სულითა და ხორცით უნდა, მაგრამ ის მღვდელია და ერისკაცივით ყოველთვის არ შეუძლია დაწვეს ცოლთან. სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა პერსონაჟთა ოჯახურ ცხოვრებაში.ამიტომაც ესიზმრება მამაოს, რომ თეო ტოვებს და გარბის, ამიტომაც ბრალს სდებენ მას ანდრია და თეზია, ამიტომ ეუბნება სიზმარში თეო:“თუ სიყვარული არსებობს, მას ბევრი ლოცვა და მეტანია არ სჭირდება, ის ისედაც ლოცვაა“ (სოსიაშვილი, 2020: 139).

ანთიმოზისთვის შეუცნობელია თეოს სულიერი სამყარო,მან არ იცის მისი მიზნები, სურვილები, ოცნებები. ამისთვის არც დრო აქვს და არც უნარი და არც გამოცდილება, ქალის ფსიქიკას ჩასწვდეს, ვერც სიტყვიერად ახერხებს ესაუბროს და ამ გზით შეიცნოს თეოს პირადი სივრცე,აზრები,გემოვნება და სხვა ყოველდღიური ყოფის ნიუანსები. ფაქტობრივად, ისინი ცოლ-ქმრად ითვლებიან, მაგრამ ცოლქმრულად არ ცხოვრობენ.

მწერალი ზოგადი შტრიხებით, ანთიმოზის დაკვირვებიდან გვიჩვენებს თეოს ეპიზოდურ განწყობილებას, თუ როგორ გააყოლებდა ხოლმე თვალს სადარბაზოში ახალგაზრდა წყვილს, რაც მიგვანიშნებს, რომ თეოს ისე, როგორც ველა ქალს, უნდა თბილი მოპყრობა, ალერსი და სარეცელიც. ანთიმოზი უძლურია,ა მ სამი კომპონენტიდან თუნდაც ერთი განახორციელოს. ასეთ ქმრად დაკომპლექსდა მღვდელი ანთიმოზი, რომელიც ებრძვის თავის თავში მამაკაცურ საწყისს და იწვევს ცოლის შინაგან თუ ვიზუალურ უკმაყოფილებას. ამას არ ავლენს თეო, მასში უფრო ანგელოზურია წინა პლანზე, ის ღვთაებრივი სილამაზისა და სიწმინდის ქალია, ის შორსაა ხორციელი თუ სულიერი პრეტენზიებისაგან, გრძნობს ანთიმოზის სიყვარულს, მაგრამ გრძნობებისა და განცდების გამოხატვა მის ხასიათში არ ზის. მაგრამ მამა ანთიმოზს ირიალური ეჭვებისა და წარმოდგენების შემდეგ რეალური საეჭვო ფაქტიც გამოუჩნდა. ეს იყო ბარათი, რომელიც თეოს ბალიშის ქვეშ ნახა, რაც გამოსათხოვარი წერილი ეგონა. მაგრამ ეს ბარათი არ იყო. იქ პოეტიკურად სრულყოფილი, ძლიერი ლექსი ეწერა, რომელიც თითქოს ანთიმოზისთვის იყო განკუთვნილი და არა თეოსადმი, რადგან სტრიქონებში

„ცოდვებით სავსე მღვდელი ხონჩით“ და სხვა მხატვრული სახეები თეოს ნამდვილად არ ეხება, ეს მამაოს ეხება,რომელიც ერთდროულად თავისი მერყეობით სიყვარულშიც სცოდავს და ეკლესიურობაშიც. სიყვარულში იმიტომ, რომ უყვარს თეო და ვერ ბედავს ალერსს, სიმამაცე არ ჰყოფნის, ეკლესიურობაში იმიტომ, რომ ცდილობს მძინარე თეოსთან ინტიმს და თანაც პარასკევ დღეს. წელიწადში 140 დღეა ხსნილი, ამ დღეებში შეეძლო ანთიმოზს მეუღლესთან ინტიმური ცხოვრება ,მაგრამ ეს არ ჩანს, არ ცდილობს გაანაწილოს დრო სიყვარულსა და საღვთო მოვალეობას შორის. მაშინ პრობლემა არც ცოლთან და არც ეკლესიასთან არ იქნებოდა. ამას ერთვოდა თეზიას მიერ შექმნილი გაუგებარი სიტუაცია. რატომ აკეთებს ამას, ძნელი გასარკვევია. მას ერთი მხრივ, უყვარს თეო სუფთა სიყვარულით და მეორე მხრივ, სამრეკლოდან ზარი ჩამოხსნა, რაც ეკლესიის ფუნქციონირებას, საღვთო რიტუალებს ხელს შეუშლიდა, რთული ასახსნელია. რატომ აკეთებს ამას, ერთი შეხედვით, ღვთისნიერი კაცი, რატომ უკეთებს ამას თავის მარჩენალსა და გადამრჩენელს მამა ანთიმოზს?ეს ხომ მისთვის კოშმარია.“ იქნებ სხვების ცოდვებში, სხვების სულში ქექვამაც მიმიყვანა აქამდე და საკუთარ თავს დამაშორა“ (სოსიაშვილი, 2020: 143) - ფიქრობდა ანთიმოზი. ამ აზრს ანდრიას სიტყვებიც ეხმიანება: „ერთი დიდი სასაფლაო ხარ, აღარ ეტევა საფლავები შენში, იმდენ „მიცვალებულს“ მარხავ“ (სოსიაშვილი, 2020: 117).

რეალურია მამა ანდრიას ეს დებულება, ნათლად წარმოაჩენს მღვდლის სამსახეობრივი მოვალეობების არსს, მათ შორის განსაკუთრებით ხაზგასმულია მიცვალებულებისთვის წესის აგება, რაც აირეკლება მამაოს სამყაროში და გარკვეულ ადგილს იკავებს მის ცნობიერებაში.

თეზიას მიერ ზარის ჩამოხსნა ეს პროტესტია ანთიმოზის მიმართ და ამავე დროს, ეკლესიის წინააღმდეგ. ეს უცნაურობა, მისი ცხოვრებისეული ხედვა, მისი სიყვარულის რწმენა თეოსადმი პლატონური ტრფიალით არის განაპირობებული, რაც ერთგვარად განსაზღვრავს თეზიას მხატვრულ ფუნქციას მოთხრობაში. მისი წერილი-აღსარება

გასაღებია ანთიმოზის პირად სივრცეში შესასვლელად: ის გულახდილად აღიარებს,რომ თეო უყვარდა მანამდე, ვიდრე ანთიმოზი შეირთავდა. თეზიას საყვედური მღვდლისადმი ობიექტურია. მისი აზრით, მღვდელი გრძნობდა, რომ „იყო ამქვყნად ადამიანი, ვისაც გონება ებინდებოდა ამ ღვთიურ არსებაზე, გშურდა და ცდილობდი, როგორმე შეგეყვარებინა, მაგრამ არ გამოგდიოდა. ცდილობდი შენს სულში მყოფი წმინდანები,ანგელოზები მიგეწ-მოგეწია და თეოსთვის ადგილი დაგეთმო, მაგრამ ვერაფრით ახერხებდი.მე კი სულში არავისთვის დამითმია ადგილი მის გარდა, ამიტომაც ვიგრძენი ღმერთი, რადგან ნამდვილი სიყვარული გაგრძნობინებს, ღმერთს რა უნდა შენგან“ (სოსიაშვილი, 2020: 153).

თეზიამ თავის წერილობით აღსარებაში დაუმტკიცა ანთიმოზს, თუ რა არის ჭეშმარიტი სიყვარული, როგორ უნდა გიყვარდეს ქალი, რომ უნდა გასწირო მისთვის მნიშვნელოვანი მიზანიც კი, თუ გინდა ღმერთი შეიცნო და ნამდვილი ღვთის ადამიანივით იცხოვრო. მან დაარწმუნა მამაო, რომ თეო მისთვის ანგელოზი იყო, რომ თეოს სიყვარულით სანაგვე ყუთიდან ამოღებულ თეოს თმებს ეფერებოდა, თმების სუნი აბედნიერებდა. ეს ანთიმოზის კათარზისი იყო ფაქტობრივად. მის, სულში დატრიალებული ამდენი ქარიშხლის შემდეგ უკვე გარდასახული, შეცვლილი რწმენით ბრუნდება სახლში თეოსთან. ამას მოწმობს ბიბლიური ინტონაციით ნათქვამი,მისი სიტყვებიც:“გიორგიმ შვა თეზია, თეზიამ შვა ანთიმოზი“ (სოსიაშვილი, 2020: 173).

თეზია ის კაცი აღმოჩნდა, ვინც ანთიმოზში გააღვივა მამაკაცური ღირსება,ქმრის სიყვარული ცოლისადმი, ჩააგონა მას, რომ სიყვარულია ღმერთი და მასთან სიახლოვე სიყვარულით შეიძლება, სიყვარულით სიცოცხლეშივე ნახავ უფალს. დაინახავ სამყაროს „შენი ჭეშმარიტების დილეგში რომ არ არის გამომწყვდეული“ (სოსიაშვილი, 2020: 169).

მამა ანთიმოზის გარდასახვა ავტორმა მრავლისმთქმელი ლამაზი ფრაზებით გადმოგვცა:

„მდუმარებაში იბადება ღმერთი,

მდუმარებაში ჩნდება სიყვარული“.

ეს რემარკა მიგვანიშნებს, რომ სახლში მიმავალი ანთიმოზი ღმერთსა და სიყვარულს ახლებურად გაიაზრებს, თავისუფლად სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე შეხედავს ცხოვრებას, ცოლსა და თავის საღვთო სამსახურს.

ნიშანდობლივია, რომ საძინებელში შესული ანთიმოზი განიცდის იმას, რის გამოც სტიქაროსანი ფსიქიატრიულში მოხვდა. ამავე დროს სიმბოლურია თეოს გაღვიძება, ქმრის შესვლაზე და კითხვა, “მოხვედი“ და ანთიმოზის პასუხი „მოვედი“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ნამდვილი ცოლქმრული ცხოვრებით იცხოვრებენ ერთ ჭერქვეშ.

ბატონმა გიორგიმ მამა ანთიმოზის ცხოვრების ასახვით ახალი სიტყვა თქვა მწერლობაში. ეს მოთხრობა იშვიათი გამონაკლისია, რომელიც სასულიერო პირის ოჯახურ და პიროვნულ პრობლემებს ასახავს. იგი ხსნის მამა ანთიმოზის სულიერ სამყაროს, ღიად და ემოციურად ასახავს მასში მამაკაცური და მღვდლური საწყისების დაპირისპირებას და ნახულობს ოქროს კვეთს, რომლითაც რეგულირდება ორივე მხარე, არ ითრგუნება ადამიანში არც მამაკაცი და არც მღვდელი. ასეთი სიუჟეტი და ასეთ ასპექტში ასახული პერსონაჟი უდავოდ სრულიად ახალი სახეა და სრულიად ახალი თემა გვაქვს მოთხრობაში „მღვდლის ცოლი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

მერჩულე, გ. (1978). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. *ქართული მწერლობა.* ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

სოსიაშვილი, გ. (2020). მღვდლის ცოლი. წიგნში: *ოთხი მოთხრობა.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ხუცესი, ი. (1978). შუშანიკის წამება. *ქართული მწერლობა.* ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

REFERENCES:

1.Merchule,G.1978. “Life of Grigol Khantseli,Georgia Literature Volume 1,Tbilisi.”Nakaduli” Publishing House,

2.Sosiashvili,G.2020.Four stories in the book “Priest’s Wife,”Tbilisi: Publishing House “Universal”

3.Khutsesi,I.1979.”The Martyrdom of the Holy Queen Shushanik”,Georgian Literature,Volume 1,Tbilisi:Publishing Hause “Nakaduli”.